

ჩაის კლანტაციების რეაბილიტირების პროგრამა დაიწყო

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი შედეგებია გათვალისწინებული იურიდიული პირებისათვის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის

თეზურ მარშანიშვილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ჩაის პლანტაციების რეაბილიტირების პროგრამა „ქართული ჩაი“.

11 თებერვალს, ოზურგეთში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ მამუკა კვარაცხელიამ და პროგრამა „ქართული ჩაის“ მენეჯერმა ლევან უროტაძემ, დამტკიცებული პროგრამა გააცნეს გურიის გუბერნატორს ვია სალუქვაძეს, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი კოოპერატივების წარმომადგენლებსა და ფერმერებს.

მამუკა კვარაცხელიას თქმით, აღნიშნული პროგრამა შარშან, ოქტომბრის ბოლოს უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, ეს წლებულს, 15 იანვარს მოხერხდა:

„ქართული ჩაის რეაბილიტირების პროგრამა გასული წლის ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ, იყო ობიექტური მიზეზები, რის გამოც პროცესი დროში გაიწვია და ეს სახელმწიფო დოკუმენტი საბოლოოდ 15 იანვარს დამტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ აგროვადები შემჭიდროებულია, გადავწყვიტეთ წლებულსვე შევუდგეთ საქმეს. ჩაი არ

არის ხელწამოსაკრავი თემა. ჩვენ მიერ დამუშავებული პროექტი მრავალეტაპიანია და თითოეული ეტაპის გავლისას შესაძლებელია გამოჩნდეს რამდენიმე ისეთი საკითხი, რომლის სრულყოფა თქვენი ხელშეწყობით, თქვენთან თანამშრომლობით მოხერხდება. ჩვენი მიზანია კერძო სექტორს, ფერმერებს შევუქმნათ ყველა ინსტრუმენტი, რათა მათ ეფექტურად შეასრულონ თავიანთი საქმე, აწარმოონ მაღალი ხარისხის ჩაი“, – აღნიშნა კვარაცხელიამ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება



თებერვლიდან დაიწყო და მისი წარმოების ზრდის ხელშეწყობა, მიზანია საქართველოში არსებული შედეგად, თვითურუნველყოფის ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიოჩაის)



ქ ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .
 შოხველკვირეული ბაგოშხვაბა. №7 (10148), 15 თებერვალი, 2016 წ. შასი 50 თეთრი.

გაზეთი ბაგოშხვაბა
 1931 წლის
 5 იანვრიდან

მამა შვილების დაბრუნებას ითხოვს


მარი კომოვი

გასული კვირის პარასკევს „ალიონის“ რედაქციაში არამაის საროიანი მოვიდა და საკუთარი ოჯახის ამბავი მოგვიყვა.

8 თებერვალს საროიანის შვილს, სამი წლის საბას მაღალი სიცხე ჰქონდა. ამის გამო სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა გამოიძახეს. თავის მხრივ, სასწრაფომ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაურეკა და ადგილზე მისვლა სთხოვა. სოციალურის წარმომადგენლებმა საბას და მისი წლის და ორი თვის დის, სოფოს სახელმწიფო მხრუნველობაში გადაყვანა გადაწყვიტეს და ერთ-ერთ ოჯახში დააბინავეს. რედაქციაში მოსული არამაის საროიანი ჩვენთან საუბარში ამბობდა, რომ ბავშვების საკუთარ სახლში დაბრუნებას ითხოვს. მისი

თქმით, ოჯახში ბავშვებისთვის შესაფერისი გარემოა და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს მათი სახელმწიფო მხრუნველობაში გადაყვანა.

სიტუაციაში უკეთესად გარკვევა სოციალური მომსახურების სააგენტოში ვცადეთ. აღნიშნულ საქმეზე აგენტმა ლია მგელაძემ იმუშავა. სააგენტოს პოზიცია ასეთია: „საროიანებს არ აქვთ ბავშვების აღზრდისთვის საჭირო პირობები. გარდა იმისა, რომ სოციალურად დაუცველები არიან და ფინანსურად ძალიან უჭირთ ბავშვის დედას თამარიკო მიქაფტაძეს არ აქვს მშობლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, იგი შშმ პირია. სახლში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამ სიტუაციის



რატომ არის თხილის ფასი საქართველოში ყველაზე დაბალი? თხილის ფასის დაცვამა ხალხში პანიკა გამოიწვია

ალიონი. თხილის ფასი საქართველოში ბოლო წლებში ყველა ნიშნულზე დაბლა დაეშვა. ბოლო დღეებში ერთი კგ „გულშიშველას“ 3-3,5 ლარი, ხოლო ბერძნულა 4-4,5 ლარი ღირდა. ამ დროს მეზობელი თურქეთის, რომელიც (რომელიც თხილის ყველაზე დიდი მწარმოებელია მსოფლიოში) ქალაქებში (ვირასუნი, ორდუ, სამსუნი, ტრაპიზონი) თხილის ფასი საშუალოზე დაბალია და იგი 09,25-დან 11 ლირას შორის მერყეობს. წელს თურქეთში თხილის მაღალი მოავალი იყო და ამან გარკვეული გავლენა იქონია ქართული თხილის ფასზე.

მაგრამ, რატომ არის თხილის ფასი საქართველოში ყველაზე დაბალი?

ამ კითხვას ადგილობრივი ფერმერები სვამენ და პასუხს ითხოვენ.

თუ მწარმოებლები ამას შარშანდელი თხილის უზარისხო მოსავალს უკავშირებენ, გლეხები პასუხობენ: -მაშინ თვეების განმავლობაში რატომ იხდიდნენ უზარისხო პროდუქციაში შედარებით მაღალ ფასს და რატომ მიადწია თხილის ფასმა 9 ლარს?

სააგენტო „ბიოინთან“ საუბარში თხილის გადაამბუშავებელთა და ექსპორტიორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე გაწერელია ამბობს:

„მოგეხსენებათ, თხილის



ფასს მსოფლიო ბაზარზე თურქეთი განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოსავალი დიდია, პროდუქტის დეფიციტი არ არის ბაზარზე და როდესაც თურქეთში თხილი იაფდება, იაფდება ჩვენთანაც, საქართველოში. ამ საკითხზე საუბრისას, ისევ მივდივართ პრობლემასთან, რომელზეც მუდმივად ვსაუბრობთ, რომ ქართული თხილის პრობლემა არის შრომა. ცუდი შრომიდან გამომდინარე „გულშიშველას“ გამოსავლიანობის პროცენტი არის ძალიან დაბალი და ამიტომ მისი ფასიც მცირეა.“

მაგრამ... დაბალი ფასი ღირს სხვა ჯიშის თხილიც.

ვეროკავშირში გაუტეხავი თხილი და თხილის გული საქართველოს გარდა, კიდევ

რამდენიმე ქვეყანას შეაქვს, მათ შორის: თურქეთს, ჩილეც, საფრანგეთს, ამერიკას, აზერბაიჯანს, იტალიასა და პოლანდას, მაგრამ ისინი საქართველოსგან განსხვავებით, კარგი ხარისხის გარანტორი და სტაბილური მიმწოდებლები არიან.

ქ. ოზურგეთში, თხილის მიმღები ერთ-ერთი პუნქტის დისტრიბუტორმა თხილის ფასის ვარდნა გერმანიაში ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენის მიერ განხორციელებულ სკანდალს ე.წ. „მიწისთხილს“ დაუკავშირა.

ე. შავიშვილი ქობულეთელი მეწარმეა. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, წლების წინ იგი ოზურგეთში ალუმინის ბიზნესს ეწეოდა და

აქაურთა „გადაღებების“ გამო დატოვა. მსგავსი პრობლემები აჭარაშიც ჰქონდა, რის გამოც სამართალდამცავ ორგანოებთანაც ჰქონდა პრობლემები. შემდეგ იგი თხილის ბიზნესში ჩაერთო და დიდი ფული იშოვა. წინა ხელისუფლებამ მას ბევრი ფული „დააწერა“ და ახლა როგორც ჩანს, ერთბაშად დიდი მოგების მიღება გადაწყვიტა, რაც ქართული თხილის ბაზარს ძვირი დაუჯდა.

როგორც ადგილობრივმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გვითხრეს, დაგეგმილია რაიონულ ცენტრებში მეცნიერ-აგროკონსულტის

ნანა ურუშაძე, პედაგოგი



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2 ლარი,
სამი თვით - 6 ლარი,
6 თვით -12 ლარი,
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებადართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების ტარიფები

რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის კოლეჯის ყოფილი მებრძოლები ხელისუფლებიდან დახმარებას ითხოვენ



ალიონი. გაზეთი „ალიონი“ წერდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლების პრობლემებზე. ამჯერად გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გენო ჭელიძესთან ერთად ჩოლოყაშვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავს მებრძოლებს ვეწვევით.

ომარ ანანიძე (სოფ. ჭკუბეთი) ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის გვარდიის პოლკის მე-11 ბრიგადის ოფიცერი იყო. ბრიგადის, შემდგომში საქართველოს

თავდაცვის მინისტრი, დავით თევზაძე მეთაურობდა.

თავდაპირველად სამხაბლოში იბრძოდა. შემდეგ გუბისშიდან დაწყებული ყველა ოპერაციაში მონაწილეობდა. ტამიშთან ალყაში მოხდა. გმირულად იბრძოლეს და ალყა გაარღვეს. 1993 წლის 27 სექტემბერს დატოვა სოხუმი. შემდეგ კვლავ შეიარაღებულ ძალებში იყო. ვიდრე 2009 წლამდე დღეს იგი შშმ პირია და მოვლას საჭიროებს.

სურიე ანანიძე, ომარის დედა:

–მუდღე სიმსივნით მარმან გარდაცვალა. კი ხელდათ ამის მდგომარეობას. ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს თავზე. მთელი ვაჟიც მებრძოლია ნუგზარ ანანიძე 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა. სახლი ვერ დაასრულა, კი ხელდათ როგორ პირობებში ვცხოვრობთ. რა უნდა ვქნა. დედა ვარ, მუდმივად ხომ არ ვიქნები – ვკითხვარა ქალბატონმა სურიემ.

გურიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელი **ველა ბუქნიძე** ამბობს, რომ დახმარება ომარს სამხედრო პოსტიტალში გადაეცანა, თუმცა, როგორც ირკვევა, ნაომარ მეთაურს ფინანსური დახმარება უფრო საჭიროდებდა.

აფხაზეთის ომის მონაწილეა ხიდისთაველი **ოთარ კალანდაძე.** იგი ყუმბარითმტყორცნიელი იყო. სოფელ ახალდასთან შეტევას დაიჭრა. ოჩამჩირეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნატყვიარი ახლაც ეტყობა მკვლელებზე.

–ქუთაისის ჰოსპიტალში გადაყვანაზე უარი განაცხადე. ოჩამჩირიდან კვლავ ომში ჩავიბრუნე. სათანადო ჩანაწერები არ აღმოჩნდა. ახლა მხოლოდ სამხედრო ბილ-

ეთი მაქვს (№008876) სადაც ჩანაწერები კი არის, მაგრამ ომის მონაწილის მოწმობა არ მაქვს...

კასა თევდორაძე ამ ომში მდლით „მხედრული მამაციობისთვის“ დაჯილდოვდა. შემდეგ ჰქონდა რთული წლები. ახლა მისი მუდღე მესამე შვილის ელოდება. არ მუშაობს. დახმარებას ითხოვს ...

ჩოლოყაშვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელს **დავით ვასაძეს** ვთხოვეთ დახმარება. მან უნდა უშუალოდ მუნიციპალიტეტის წინაშე, რომ სამშვილანამ ოჯახს საქართველოს რიგ რევიინებში (მათ შორის გურიაში) სახელმწიფოსგან მესამე შვილის გაჩენის შემდეგ დაწესებული 150-ლარიანი დახმარება მიიღოს.

ჩვენ მოკლედ აღვწერეთ ამ მომრების პრობლემები. იმედა, მათი მოვარებაზე მართო ქრთუზაზზე მომუშავე გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტის წევრები არ იზრუნებენ.

მამა უვილები დაბრუნებას ითხოვს

გამო დაგვიკავშირდა ჩვენ სასწრაფო. ბავშვისთვის საავადმყოფოში არც ერთ მშობელს არ მიუკითხავს. მხოლოდ მეზობელი ახლდა, – განაცხადეს შესაბამის სამსახურში. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არ განიხილება მშობლის უფლებების ჩამორთმევა და ბავშვების გასხვისება.

„ჩვენთვის აღნიშნული ფაქტი არ არის საროიანებთან პირველი შემთხვევა. მანამდეც გვქონდა ურთიერთობა. ჩა-

რთულები იყვნენ სხვადასხვა პროგრამაში, მაგრამ სიტუაციის გამოსწორება ვერ მოხერხდა. ამიტომ ვახდა აუცილებელი ბავშვების გადაყვანა სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ. ჩვენ ვმოქმედებთ ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, – აღნიშნეს სოციალურ სამსახურში.

საროიანები არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში. მათ 28 000 სარეიტინგო ქულა აქვთ მინიჭებული.

მრგვალი გაბიდა თემაზე „არასრულწლოვანი და დანაშაული“

11 თებერვალს „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში“ პროექტის ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღი საზოგადოებრივი დიალოგისთვის“ ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა თემაზე „არასრულწლოვანი და დანაშაული“.

შეხვედრის მიზანია საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურისა და სექტორის ჩართულობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით, სხვადასხვა მხარეების როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა აღნიშნულ პროცესში.

პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღი საზოგადოებრივი დიალოგისთვის“

მიზანია გურიაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობა მოზარდებში.

პროექტს „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღი საზოგადოებრივი დიალოგისთვის“ ახორციელებს „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ ამერიკული ორგანიზაცია **PH Internacional**-თან თანამშრომლობით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტი-ნარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანიზაციის ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს მიერ დაფინანსებული „საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის“ (**GE CALLS**) ფარგლებში.

ოზურგეთის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები სტუმრობდნენ

13 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში ქართულ ამერიკულმა უნივერსიტეტმა შეხვედრა გამართა ქალაქ ოზურგეთის სკოლების აბიტურენტებთან და მაღალი კლასის მოსწავლეებთან.

ხსენებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დამსწრეთ გაუზიარეს პირადი გამოცდილება, მიაწოდეს დაწვრილებითი ინფორმაცია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროგრამებისა და სიახლეების შესახებ, უპასუხეს შეკითხვებს.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, პროექტს წინ უძღოდა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ორი წლის განმავლობაში თბილისისა და საქართველოს რეგიონებში ჩატარებული ღონისძი-

ებები, სადაც გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც სიღრმისეულ განხილვას საჭიროებს. მათ შორისაა ქართულ-საგანმანათლებლო სივრცეში ასალი დისციპლინა – პროფესიული ორიენტაციის განვითარება. ეს საკითხი კი, პირველ რიგში, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ეხება, მათ, ვინც მოცემულ მომენტში გვემავს კარიერას – ირჩევს პროფესიას და ადგილს, რომ კვალიფიციურ კადრად ჩამოყალიბდეს და სრულფასოვნად ჩაერთოს ქვეყნის ამ თუ იმ სფეროს განვითარებაში.

პროექტი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, აკრედიტაციის ცენტრის, თბილისისა და რეგიონების სკოლების მხარდაჭერით

სოციალური პროგრამის სიახლეები

ბარი კომოვი

ამერიიდან ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მოქალაქეებისთვის დახმარების მაქსიმალური თანხა 300 ლარის ნაცვლად 500 ლარით განისაზღვრა. ამის შესახებ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, თამარ ღუმბაძემ ვკითხვარა. ღუმბაძემ კიდევ რამდენიმე სიახლის შესახებ გვესაუბრა. მისივე ინფორმაციით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს რომლებსაც აქვთ პირველი და მეორე ჯგუფი მიიღებენ ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. სოციალური პროგრამის თანახმად

ფინანსური დახმარება გაეწევათ ცეპატივით დაავადებულ პირებს მკურნალობის ტექნიკის განსაზღვრისთვის კვლევაში. სიახლეა კომუნალური სუბსიდირებაც. სუბსიდია 100 ლარის ოდენობით გათვალისწინებულია ოჯახებზე, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვდნენ და 30 000 ქულა აქვთ. თამარ ღუმბაძის ინფორმაციით დახმარება გათვალისწინებულია მრავალშვილიანი ოჯახებისთვისაც. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით მუნიციპალიტეტი ყოველ მეხუთე და შემდეგ შვილზე თანხას 500 ლარის ოდენობით გასცემს.

კონტაქტელები „ლიბერთი ბანკის“ ფილილის აღდგენას ითხოვენ

ალიონი. სოფელ კონჭკათში თხილის თემაზე მუშაობისას, ამ სოფლის აცხოვრებლებმა „ლიბერთი ბანკის“ ფილილის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრეს. აღნიშნული ბანკი ერთი თვის წინ გატეხეს, სეიფიდან 28 ლარი წაიღეს.

–კონჭკათი საკმაო მანძილითაა დაშორებული ოზურგეთს. „ლიბერთი ბანკში“ პენსიის ასაღებად ან გადასახადების გადასახდელად მისულებს მუდამ რიგები გვხვდება. გვინდა, რომ ამ ბანკის ფილიალი კვლავ გვემსახურობდეს.

ამბობენ სეიფი უნდა შეუძინონ ბანკს. რა გაუჭირდა ასეთი „ლიბერთი ბანკს“ დაზიანებული სეიფი ვერ შეცვალონ – ვკითხვარა მათ.

–სეიფის პრობლემა მართლაც დგას, მაგრამ იმედი მაქვს პრობლემა მოგვარდება და „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი კვლავ მოემსახურება სოფელს, რადგან ერთი ან ორი დღით სერვისცენტრის ავტომობილის ამოსვლა სოფელში პრობლემას ვერ მოხსნის – ვკითხვარა სოფლის რწმუნებულმა ირაკლი ლოდიამ.

კულოცაფი!

მწერალს და ხელოვანს, დიდებულ ქალბატონს **სულიკო ლომჯარიას** დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მეგობრები!

ჩაის პლანტაციების რეაბილიტირების პროგრამა დაიწყო

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი უზრუნველყოფის გათვალისწინებული იურიდიული პირებისათვის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის



დონის ამალგამა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (იჯარით გაცემული) გავლურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტირებისთვის დაფინანსებას მიიღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

კერძო საკუთრებაში არსებული პლანტაციების შემთხვევაში რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსება იქნება:

– იურიდიული პირებისათვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) – სარეაბილიტაციო სამუშაოების 60%;

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის – სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 80%.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (იჯარით გაცემული) პლანტაციების შემთხვევაში:

– იურიდიული პირებისათვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) – სარეაბილიტაციო

სამუშაოების ღირებულების 70%; – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის – სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 90%.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საწარმოო მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.

სარეაბილიტაციო ფართობი არ უნდა იყოს 5 ჰექტარზე ნაკლები და 300 ჰექტარზე მეტი.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტირების რამდენიმე ეტაპიანი პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, დონორ ორგანიზაციებთან ერთად, პროგრამის ბენეფიციარებს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ჩაის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლის, სერტიფიცირების, მარკეტინგის, სარეალიზაციო არსებების შექმნის და სხვა მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული შეღავათება გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოში კოოპერაციის განვითარებას.

ელში კოოპერაციის განვითარებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა აკაკი ლლონტაძემ დააყენა საკითხი, რომ პროგრამის პირველ ეტაპზე, თანადაფინანსებაში აუცილებლად უნდა შევიდეს პლანტაციების შეღობვის საკითხი და თუ სახელმწიფოს მხრიდან ვერ დაფინანსდება, ბენეფიციარს თანადაფინანსებაში ჩაეთვალოს შესაბამისი შესრულებული სამუშაო, რასაც არ დაეთანხმა პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე, რადგან, მისი თქმით, ამ შემთხვევაში ბენეფიციარებმა სამხარაულის ლაბორატორიიდან უნდა წარმოადინონ დასკვნა, რასაც შემჭიდრობულ ვადებში ვერ მოახერხებენ. ამ საკითხზე კვარაცხელიას თავისი მოსაზრება ვერ შეაცვლევინა ვერც ქალბატონი მარინა სუნგულიას რეპლიკამ: „ეს სწორედ პირველი ეტაპის საქმეა. ბუნების აშენება ცეცხლის ანთებით ხომ არ უნდა დაიწყოთ“.

მამუკა კვარაცხელიას თქმით, პროგრამის განხორციელება წარმოდგენილია ანასეულის ცენტრის, ანასეულელი მეცნიერების დიდი გამოცდილების გაზიარების, პროგრამაში, კონკრეტულად პლანტაციებისა და ნიადაგების დიაგნოსტიკების საქმეში მათი აქტიური ჩართვის გარეშე.

ამ საკითხიდან მოყოლებული სხდომას უკვე პოლიტიკური ელფერი მიეცა. ანასეულის საუნივერსიტეტო კამპუსის გენერალურმა დირექტორმა თემურ რევიშვილმა პროგრამის დადებითად შეფასების შემდეგ, განაცხადა, რომ ანასეულში მოქმედი დიაგნოსტიკის ცენტრი ყოფილი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განაყოფია და

მხოლოდ ეს ლაბორატორია ამას ვერ გადაწყვეტს. ანასეულის საუნივერსიტეტო კამპუსი თავისი ლაბორატორიებითა და დარბაზით მზად იყო და არის საამისოდ, მაგრამ არავის მიუმართავს მისთვის. მასთან დებატში შესულმა გუბერნატორმა გია სალუქვაძემ თქვა, რომ ეს არის ბენდუქიძის კამპუსი და დასადგენია რამდენად არის ის ყოფილი ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე.

პოლიტიკური თვალსაზრისით კითხვითი ნიშნები გააჩნა ნუგზარ გორგაძის გამოსვლამ, რომელმაც იკითხა რატომ უარყო სამინისტრომ, მისი თქმით, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით, ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის მომზადებული პროგრამა:

„არაფერი მაქვს საწინააღმდეგო წარმოდგენილი პროექტისა, პირიქით, მივესალმები, მაგრამ თუ რეაბილიტაცია ხდება, სწორედ რეაბილიტაციას ეხება ეს პროექტი, რომელიც მე ახლა ხელში მიჭირავს და რომელიც გაცილებით ადრე მომზადდა. მინტერესებს, რატომ უარყავით ეს 10-მილიონიანი პროექტი, რომელიც ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით მოვამზადეთ ოზურგეთში, ოზურგეთის რაიონში მეჩაიეობის აღდგენისათვის? ვეჭვობ, რომ ამ საქმეში დესტრუქციული ძალების ხელი ურევია“.

„ბოდიშს ვიხდით, მაგრამ მე პოლიტიკოსი არ ვარ. არ ვიცი, რომელ პროექტზეა საუბარი, მაგრამ, მერწმუნეთ, თუ სადმე პროექტი იყო, ყველა გავაანალიზეთ. გადმომეცით, გავცნობთ, თუ გნებავთ, ერთად გადავხედოთ, გავიართო შეტალურად ყველა საკითხი და შემდეგ გავაკეთოთ დასკვნები“ – უპასუხა გორგაძეს მამუკა კვარაცხელიამ.

მოკლედ, გურულებმა სხვა შეკითხვებითაც სტუმრებს პრაქტიკულად აჩვენეს, რომ პოლიტიკა სისხლში აქვთ გამჯდარი. კითხვების ორომტრიალში გურიის გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი რომ არ ჩარეულიყო, შეხვედრა რეგლამენტის დიდი გარღვევით დამთავრდებოდა.

აქვე, მშენიერი იუმორიც გამოცხვა, შეხვედრაზე დამსწრეთა ერთ-ერთმა ოვანეს თუმაიანი ფრთხილად ფრთხილად სიტყვები „ქართველი“ და „პოეტი“ ჩაანაცვლა სიტყვებით „გურული“ და „პოლიტიკოსი“ და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ყველა პოლიტიკოსი გურულია და ყველა გურული პოლიტიკოსი – ორჯერ პოლიტიკოსი“.

გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ მადლობა გადაუხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს გაცემული მუშაობისა და ოზურგეთში ჩამობრძანებისთვის. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პროგრამის მომზადებით რეგულაციური სვლა გაცივდა, რომელიც რადიკალურად შეცვლის სურათს მეჩაიეობაში:

„მე რაც აქ მოვისმინე, ეს არის მართლაც რეგულაციური სვლა, სხვანაირად წასვლა არ იქნებოდა. ეს რადიკალურად შეცვლის გურიაში ჩაის აღდგენის საქმეს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. სხვა დარგებთან შეთანხმებით, ჩამი უნდა შექნას გურიის ეკონომიკა“.

შეხვედრის მონაწილეთა შეფასებითაც, ბოლო 25 წლის განმავლობაში, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ერთადერთი რეალური პროგრამა, რომელიც კრიზისიდან გამოიყვანს ქართულ ჩაის.

ცვლილებები ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში



ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე პირველ საკითხად განიხილეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 დეკემბრის №56

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მარია ნაცვალაძის თქმით, საკრებულოს №56 დადგენილების შესაბამისად 9186.2 ათასი ლარის ოდენობით დამტკიცებულ ბიუჯეტში საჭირო

აა განხორციელდეს ცვლილება:

– საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით, გამოიყო 1 900.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართება ქალაქ ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილის მოასფალტების სამუშაოების განსახორციელებლად.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს ბიუჯეტში 22,5 ათასი ლარით ნაშთის გაზრდას, რომელიც მიიმართება მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. კერძოდ გაიზარდა:

- დასუფთავების ღონისძიებები – 9,9 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია დიდთოვლობის დროს ქალაქის ქუჩების სავალი ნაწილის თოვლისგან გაწმენდითი სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;
- სპორტული ღონისძიებები – 0,3 ათასი ლარით („საქონელი და მომსახურება“);
- უსასლკაროდ დარჩენილი

ოჯახების დახმარება – ბინის ქირით – 2,5 ათასი ლარით („სხვა ხარჯები“);

– თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება – 1, 0 ათასი ლარით;

უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება – 1,0 ათასი ლარით;

– განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა – 2,0 ათასი ლარით;

– იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა – 1,2 ათასი ლარით;

– შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა – 4,6 ათასი ლარით.

ამავე სხდომაზე დაამტკიცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმა.

მიიღეს დადგენილება „ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-

ნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მხარი დაუჭირეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარების, მშენებლობის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ასევე გადაწყდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შესტანად.

დაამტკიცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმა.

გვერდობა გუნდის ურთიერთობისა

ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების მიზანშეწონილობის თაობაზე მრავალმა ადამიანმა გამოთქვა თავისი უარყოფითი შეხედულება. ამ პრობლემას მიეძღვნა საგაზეთო წერილები, სატელევიზიო სიუჟეტები, შეხვედრები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში, გურიის გუბერნატორთან და სხვ.

გაზეთ „ალიონის“ 8 თებერვლის ნომერში განთავსებულ ვიზა ჭანიშვილის წერილიდან ჩანს, რომ მოქალაქეებში რამდენიმე „ურწმუნო თომა“ გამოურია. ისინი საკითხს ასე სვამენ: „ჩვენ ამ საწარმოში ვმუშაობთ. გავვინჯეთ და ნახავთ, რომ ჯანმრთელი ვართ. თქვენს გამო კი ულუკმაპურად ვრჩებით“.

ერთი მათ მხარესაც უნდა დავილაპარაკოთ. ამ ხალხის ცნობიერება და, აქედან გამომდინარე, საკითხის შეფასება პირდაპირ პროპორციულ კავშირშია მის დასაქმებასთან. რას იზამ, მაინცა და მაინც ვერ გაამტყუნებ, რამეთუ უმუშევრობა პრაქტიკულად თითქმის შიმშილის ტოლფასია.

სულგანათლებული აკაკი ბაქრაძე გულისტკივილით წერდა, რომ აღარავენ ფიქრობს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, „ახლა აღარავის უნდა ბალახის ჭამა“.

ნაპოლეონს აქვს გამოთქმა: „ჯარისკაცის აზროვნება კუჭზე გადის“.

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის რეალობა ასეთია: როდესაც პიროვნების აზროვნების ქვაკუთხედი კუჭთან დაკავშირებული პრობლემაა, მას მაღალი მატერიალისადმი პატივისცემას ვერ მოთხოვ.

ზოგიერთ მოქალაქესაც ასე დაემართა. გვინდა გვევროდეს, რომ ისინი არ არიან ვინმესგან მართლები და გულწრფელები არიან თავიანთ მოსაზრებებში.

იბადება კითხვა: როგორ განხორციელდება ტყიის გადამამუშავების მიღებული მაღალტექნოლოგიური საწარმო-ტექნიკური ნარჩენების უტილიზაცია? ნარჩენებს პლანეტა მარსზე ხომ ვერ გავაგზავნი? ნარჩენები ხომ მაინც ჩვენს გარემოცველ ბუნებაში რჩება? თუმცა სიმართლეს თუ ვიტყვით, ამ პლანეტასაც რას ვერჩით?!

იქნებ სჯობდეს, ინდოელმა ინვესტორმა ისეთი სამეწარმეო საქმიანობა განახორციელოს, რომელიც გაცილებით უსაფრთხო იქნება გარემოსათვის, ვიდრე ტყვიის გადამამუშავება?! ვფიქრობ, უპრიანია, ამ საკითხზე საზოგადოების დაფიქრება.

ჩვენ არ ვართ ინვესტორებისა და ინვესტიციების, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების წინააღმდეგი. ჩვენ ვითხოვთ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული უფლების რეალურ განხორციელებას. ჩვენ გვსურს ჯანსაღ გარემოში ცხოვრება.

არსებობს გამოთქმა: ჭკვიანები სხვის შეცდომებებზე სწავლობენ...“ ჰოდა, ჩვენც ვიყოთ გონიერნი და ვისწავლოთ თუნდაც ვეროპის ზოგიერთი ქვეყნის ან ჩინეთის (ზმიფენე ბუქინსკი რომ „ყვითელ საფრთხეს“ უწოდებს) და ინდოეთის მაგალითზე. ისტორიაც გავიხსენოთ. თბილისში არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც მეთულუხრები ჰქვიადათ. ისინი ქალაქის ქუჩებში მდინარე მტკვრის წყალს ეზიდებოდნენ და ჰყიდდნენ. ახლა კი მდინარე მტკვარში ჭკვიანი კაცი საბანაოდაც არ ჩავა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ჩვენს გარემოცველ გარემოზე ადამიანთა ზემოქმედების ვექტორი უარყოფითი მიმართულებისაკენ მკვეთრად გადაიხარა. ამის დასტურია გლობალური დათბობა, რომლის გამოც მთელი პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა შემფოთებულია.

თუ რა მდგომარეობაა გარემოს უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით ისეთ მაღალტექნოლოგიურ ქვეყანაში, როგორცაა ჩინეთი, დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას. საძიებელ ველში აკრიბეთ სიტყვები **china waste river** და სხვა მრავალთა შორის თქვენ იხილავთ მრეწველობის ნარჩენებიდან წითლად შეღებილ მდინარეებს, ტბებსა და მინდორ-ველებს. ასევე თუ თქვენ აკრებთ ინფო ვასტე, იგივე მდგომარეობას დაინახავთ.

ამა თუ იმ ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების ხარისხი პროპორციულია საწარმო-ტექნოლოგიური განვითარებისა და ურბანიზაციის დონისა, ბუნებასთან მიმართებაში საზოგადოების მიერ გამოჩენილი სიფრთხილისა და გონიერებისა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ყოველთვის არ არის ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების გარანტი.

თუკი ისეთი მაღალტექნოლოგიური ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი, ვერ ასწავლებენ დაიცვან და შეინარჩუნონ ეკოლოგიური ბალანსი, ქალაქ ოზურგეთს ვინ მისცა იმის გარანტია, რომ ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების შემთხვევაში გარემოს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება.

მოქალაქეებს ასევე ვურჩევთ, წაიკითხონ წიგნი „ჩინეთი თანამედროვე მსოფლიოში“. ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ თუ შესაბამისი ღონისძიებები არ განხორციელდება, ჩინეთი თანამედროვე მსოფლიოსათვის წარმოადგენს ეკოლოგიური კატასტროფის საფუძველს. იგი წერს: ჩინეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში, ნიადაგის დაბინძურების გამო, სასმელი წყლის ჭის სიღრმე 3 მეტრადან 500 მეტრ სიღრმემდე გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეებსაც სწორედ აქ გვმართებს სიფრთხილე. ცნობილია, რომ საქარ-

თველო სასმელი წყლის განახლება-რესურსების უნიკალური წყაროა. თუ ჩვენი გულგრილობის ან სხვა მოტივების გამო გარემომცველი გარემო დაბინძურდება ტოქსიკური ნარჩენებით და მოხდება და მათი ნიადაგში გაფრთხილება-გავრცელება, მაშინ ჩვენ ჩვენივე ნებით ხელს შეუწყობთ სასმელი წყლის დაბინძურებას. რისთვის უნდა ჩავიდინოთ ეს? სანაცვლოდ რა ისეთ სიკეთეს მივიღებთ? არც არაფერს!

ამჟამად ფრიდრიხ ენგელსის ხსენება არც ისე პოპულარულია და მაინც ვფიქრობთ, მისი მოსაზრება ძალზედ საგულისხმო და ყურადღებას იმსახურებს. ენგელსი წერს: „ძალიანაც ნუ გაამაყვება ადამიანი ბუნებაზე გამარჯვებით. ყოველი ამ გამარჯვებისათვის ბუნება ადრე თუ გვიან შურს იძიებს.“

დიდი ქართველი მწერალი ვაჟა ფშაველაც ხომ იგივეს გვეუბნება: „ბუნება მბრძანებელია...“

ბუნების შურისძიების კლასიკური მაგალითია სპარსეთის მეფე კიროსის ცხენისა და მდინარის ისტორია. ცხენის დახრჩობისათვის მეფის მიერ დასჯილი მდინარე რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

ადამიანებო, გაუფრთხილდეთ ბუნებას! გვეწმინდეს ბუნების შურისძიების!

იოანე ბაქრაძე,
სამართალმცოდნე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში 4 166 143 ლარით გაიზარდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში.

სულ შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი 4 166 143 ლარით გაიზარდა.

შემოსავლების ნაწილში ტრანს-

ფერები (კაპ. ტრანსფერი) 4 166 143 ლარით გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 166 143 ლარი.

შესაბამისად გაიზარდა:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები – 793 221 ლარით;

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შეობები – 745 824 ლარით;

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური ზრდის ნაწილში, გზები – 2 627 028 ლარით.

ამავე სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, მიიღეს გადაწყვეტილება დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის შოთა ართმელაძის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს კულტურის პოლიტიკის სტრატეგია საზოგადოების თანამონაწილეობითა და თანაავტორობით იქმნება



10 თებერვალს ქალაქ ოზურგეთში, კოლეჯ „პირინის“ სააქტობო დარბაზში საქართველოს კულტურისა და ძეგლის დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და მისმა მოადგილემ ლევან ზარატიშვილმა საქართველოს კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მორიგი საჯარო პრეზენტაცია გამართეს.

სლოგანით „ერთად შექმნათ კულტურის პოლიტიკა“ კულტურისა და ძეგლის დაცვის მინისტროს დოკუმენტის სამუშაო ვერსიას რევიზიას აცნობს.

პრეზენტაციის დაწყებამდე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბეგლარ სოროიძემ მინისტრს კითხვით ოზურგეთის რეაბილიტაციაში შეპირებული დახმარების შესახებ შეასწავა და ურჩია არ ჩაეზარდეს „გურულების ყაზმა“.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ გურიის გუბერნატორი ვია სალუქვაძე, მხარის ხელისუფლების სხვა პასუხისმგებელი პირები, ოთხივე მუნიციპალიტეტის თავაჯები და დარგის სპეციალისტები.

მიხეილ გიორგაძის თქმით, კულტურის სტრატეგიაზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო.

„2014 წლიდან მიმდინარეობს კულტურის სტრატეგიაზე მუშაობა და მან 2025 წლამდე პერიოდი უნდა მოიცავს. ამ დოკუ-

მენტს მხოლოდ კულტურის სამინისტრო არ ქნის. ჩვენი სურვილია მისი თანაავტორობით საზოგადოება, თითოეული თქვენგანი იყოს. სხვათა შორის, თუ ტრანსპარენტად არ ჩამოვარდით, კულტურის სტრატეგიის პრინციპები – ღიაობა, გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა მოწინააღმდეგეებს ეწინააღმდეგებათ. გენერალური მდივნის მოადგილის ვაბრიელ ბატონი დრაკონის მიერ. გვარამ არ დაგაფრთხილოთ. მან ამ დოკუმენტს სამაგალითოც კი უწოდა. ეს არ არის სადღეგრძელოთა კრებული, აქ საუბარია კულტურის პრობლემებზე, რომელიც გადასაჭრელი გვაქვს. დიდ იმედს გვაქვს აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ. დოკუმენტს მართის ბოლოს გავტყუებთ მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად.“

საქართველოს კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის ამოცანებსა და მიმართულებებზე ვრცლად ისაუბრა მინისტრის მოადგილე ლევან ზარატიშვილმა.

შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მინისტრის პასუხებიდან წლებულს გაგრძელდება ქალაქ ოზურგეთში აღმოჩენილი აბანოების სამეცნიერო კვლევა; ასევე წლებულს პირველად საქართველოში ქალაქი ოზურგეთი უმსაზღვრეს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალს.

როცა სოფელი სტიქიასთან ბრძოლაში მარტო არ არის



წლებადღეობს დიდთოვლობამ პრობლემები შეუქმნა სოფლის მოსახლეობას, გზებს, ინფრასტრუქტურას.

სოფელ შრომაში თოვლის საფარის სიმაღლემ 1 მეტრს გადააჭარბა. ასეთ დროს სოფელს გვერდით დაუდგა მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელმაც ადგილობრივი და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან ჩამოყვანილი თოვლსაწმენდი ტექნიკით გაწმინდა როგორც ნატანები-შრომა-ურეკის, ისე ორმეთთან, ეკალიდთან და სხვა უბნებთან დამაკავშირებელი გზები. გამგებელი უშუალოდ უწევდა კოორდინაციას გაწმენდით სამუშაოებს.

მერაბ ჭანუყვაძე რამდენჯერმე სამსახურებრივი ავტომობილით

მოემსახურა სასწრაფო დახმარების ბრიგადებს, რომლებიც სოფელ შრომის ცენტრიდან გადაჰყავდა იპქლ-დიდსა და სხვა უბნებში.

გვინდა მადლობა გადაუხადოთ ბატონ მერაბს თანადგომისთვის.


მამუკალა ღარიბა,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი;

დავითი ჭანუყვაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ შრომის მაჟორიტარი დეპუტატი.

მკობა ფირალთა ზომბისა მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზომბაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2--6 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოფორმების ისტორიული მუზეუმის მენეჯერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



1872 წლის 8 ნოემბერს „სასოფლო გაზეთი“ წერდა: ოზურგეთიდან გამოგზავნილს ერთს კორესპონდენტობაში ამას წინადა მოხსენიებული იყო, ერთი აქაური ვაჭრის პრიკაშნიკის დაკარგვა. ივლისის დამოკვს რიცხვებში (პრიკაშნიკის) თავისი ადას ლუქანი დეკეტა და წასულიყო სოფელში თავის სატროფოსთან. იქიდან მოკიდებული დღეების მისი არაფერი კვალი არ ჩანდა, არც არავინ უწყობდა თუ რა ბედი ეწია ამ საწყალს.

ეს პრიკაშნიკი იყო (ოზურგეთის მცხოვრები) მისილი მიქლაიშვილი-ოცის წლის ახალგაზრდა. მისმა ასე თვალდა ხელშეუკარგებამ ძლიერ გაგვაკვირვა, მაგრამ (ამ გაკვირვებაზე) უფრო საკვირველი ის იყო რომ მის დაკარგვაზე ვერცერთი ყურადღება არავის მიუქცევია.

ბოლოს იქაურმა ვაჭრებმა (მხარის უფროსისაგან) ნებართვა ითხოვეს წასულიყვნენ დაკარგული მიქლაიშვილის მოსანახავად, ახლო-მასლო სოფლებში სოფლებებისავე შემოვიბოთ. მაგრამ სამწუხაროდ დაკარგული პრიკაშნიკის კვალს ვერც ცოცხალს და ვერც გარდაცვლებისს ვერ-

სად მაგნეს. ამ წლის 8 ოქტომბერს ოზურგეთის მხლობლად მდებარე სოფელ ბანეს. გავიგე რომ ამ სოფლის მცხოვრებელ ვიღაც დედაკაცს, ბანესს ლეონიშვილის ეკლესიისავე მძაგალს ერთი ქაღალდის ნაგლევი ენახა და ამოკითხია: მიხეილ მიქლაიშვილი მოკლული და დამარხული ერთის ამ დანაშაულის თაობაზე შექმნიულის (ბორღ-მოქედის) სახლში, ტანტის ქვეშ და თუ კარგად მოსებნით და ისიც ნამდვილად გაჩვენებ (მის ცხედარს) თუ სად არის დამარხულიო.

მაღე ეს ბარათი ისე დაიკარგა, მიწამ ჩაგლამა.

პოლიტიკურად დავეშვილი, პარტიის გავლენაში, ყოვლისშემძლე კომიტეტის დაქვემდებარებაში მოქცეული ფირალ-ისათვის უმთავრესი კლასობრივი პოზიცია იყო. „ალია“ და „ოსმანა“ - მდიდარი და ღარიბი, მისთვის ორივე თათარი იყო. ფირალის ტაქტიკა და სტრატეგია კომიტეტის ტაქტიკისა და სტრატეგიის შესატყვისობას წარმოადგენდა. იგი ამ პრინციპით მოქმედებდა ყოველთვის და ყოველგან.

1881 წლისთვისათვის გაზეთი „დროუბა“ ფართო საზოგადოებრიობას აუწყებდა, „სამ წელიწადზე მეტს რაც მძრცველ-მკვლეონი, დათულია სურგულაძე (სოფელ) აჭის მცხოვრებნი ცენტრადი და ზუსა კვესიშვილი, გურიანთული ტულუმი, პაულე მასარაძე და სხვები იკლებენ გურიას და ქობულეთ-აჭარას ქურდობებითა და მკვლელობებით. ნასაკირალზე დღეგენის მგზავრთა ნამარცხე უნახეს ვნატიე ვასაძეს, სილგან მუეირას და ვლახუნა სტურუას, ხალიბ აბიბის რომ ჩვენ თვითონ შერკულ-შეპოჭლის მივევრით (ოზურგეთის მხარის)

მმართველს ავაზაკებს ოღონდ კი კანონიერად გაასამართლონ ისინი. მხარის უფროსი ოტია დადიანი დიდად უწყენინებელი კაცი იყო ასეთი პირებისა“.

გურიაში ხალხისური მოძრაობის განვითარების საქმეში საკმაოდ დიდი დამსახურება გააჩნა მელიტონ ნაკაშიძის მხარის სანდრო სავაროვს. სავაროვი იყო ისიღორე ქიქოძის სადღუმლო მეკავშირე, რომელსაც ქობულეთიდან გადმოჰქონდა გიგო შარაშიძისა და მიხეილ ყიფიანისათვის გადასაცემად ფრად მნიშვნელოვანი ცნობები და საიდუმლო ლიტერატურა. იგი მეტად მოხერხებულად გადაიდა საზღვარზე ნატანე-ქობულეთის მიდამოებში.

ხალხისების ორგანიზაციის გაცემისა და ჩაგრანის შედეგად მელიტონ ნაკაშიძე განივლტო სტამბოლს და გარდაიცვალა იქვე. გიგო ნაკაშიძე დააპატიმრეს, სანდრო სავაროვს როზეტი დაჰკრეს სისხლის ღწამდე. ისიღორე ქიქოძე გადაიხვეწა ოსმალეთს 1878 წელს. ათი წელი დაჰყო იქ შემდგომში ოსურგეთის დაბრუნებულმა დაიწყო სამსახური იმავე ქალაქში აქციზის მოხელედ.

გურულმა ხალხისებმა გარკვეული კვალი დააჩინეს გურიაში. არალეგალური ლიტერატურის გაფრცელებამ და ხალხში გასვლამ შეაყრდინა ჩაქროსანთა ამოხი სული. გასმარდა ფირალად გასვლა და გავარდნა, თაგომწონებმა ჩახმხმებუ მოუსინჯეს ხირიმებს. გასმარდა სიკვდილიანობა. ადამიანის სიცოცხლეს ჩაღის ფასი დავდო.

„სურთიერთობი დამხმარე სალარი“, რომლის უფროსად დანიშნული იყო თავადი ანდრია მიხეილის ძე ერისთავი. სალაროს ადგილსამყოფელი ითვლებოდა სოფელი გირა ბერეკოული ჩოხატაურის მასლო-

ობლად.

ანდრია ერისთავს ჰქონდა უმაღლესი აგრონომიული განათლება... ამ სალაროს (მოადგილე) უფროსის მოადგილე იყო აზნაური ნესტორ თავადი იმედიანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

„ხალხისნები სურთიერთობი დამხმარე სალაროს“ წევრებს იქნდნენ ვაჭრებისა და შეძლებულ გლეხთა ფრებეიდან. სალაროს წევრთა გამრავლების მიზნით სოფელ აკოში დაარსებულ იქნა პირველი სამკითხველო გურიაში.

გარდა ზემოხსენებულ (პირთა) ისიღორე ქიქოძისა გურიაში ხალხისურ მოძრაობას აგრცვლებდა.

გიგო დავითის ძე შარაშიძე დაბადებული 1848 წელს. ჩოხატაურში სოფელ საყვივისტყეში. 1869 წელს გიგო შარაშიძე სოფელ ძიბითის ერთკლასიან სკოლის მასწავლებლად დაინიშნა, სადაც მოღვაწეობდა 1874 წლამდე, ხოლო შემდგომ გადაყვანილ იქნა სოფელ ბანესს ცნობილ სკოლაში.

აქტიურობდა ეპიფანე კალანდაძე. დაბადებული 1818 წელს. გურიის სოფელ ჭავჭავიში. მასწავლებლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. ამკარა მტრობა ჰქონდა გურიის სამღვდლოებასთან, მუდამ კრიჭამი ედგა მას. გარდაიცვალა 1879 წელს მოწამლის შედეგად.

ეპიფანე კალანდაძეს ტოლს არ უდებდა თავადური წარმომავლობის მელიტონ ნაკაშიძე. ცხოვრობდა ქ. ოზურგეთში. შედამწვენი იყო ფრანგული, გერმანული და თათრული ენები.

რევილუციის უქცირეს ანგარდით, უნდა ვეახსოვდეს, რომ მხოლოდ ნარი-დნიკლებთან შესხატბილებით შემოუსრავთ თვითმყრობულობას. (1883 წელს) მე ჩავველი

(გურიის) სოფელ ვაუშათში სამსონ კანდელაკთან და ვნატიე ნინოშვილიან შესახვედრად... ვნატიე იქ არ დამხვდა, სამსონ კანდელაკის გადმოცემით: მათ უკვე ორივეს გაეწიათ პროპაგანდა მასლობელ-შორეულია შორის, მემამულე აზნაურთა და სამღვდლოების საწინააღმდეგოდ... წინ გავიძლილე სამსონი და გავედი გურიის დაქსაქსულ სოფლებში... განცვივრებული ვიყავი გლეხების მეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობით, სამღვდლოების თვალთმაქცობით, ადმინისტრაციის თვითნებობით, დაუსჯელობით და წამებით.

... ჩვენ შორესლო ჩვეურთ სოფელ ზემო და ქვემო ჩიხათს. შევიცვენით მთის ძირას, ჩამავალი მზის სხივები წითელ ხავერდით ვეწინებოდა გორის ფერდობსა და ცის ტანტობს, გლეხები სიმღერით ბრუნდებოდნენ სამუშაოდან. ისინი ჩამოსხდნენ ჩვენს ირვლევე ყაბალახებთ იშენდნენ შებლზე სიმწრის ოფლს. გავაბით მუსათვი ძველსა და ახალ ხელისუფლებასზე. (მათთან საუბარში ვიგრძენი) რომ გურული გლეხობა არ ჩაჰკირკიტებდა მარტოოდენ მწასა, იგი არც ელოდებოდა იმ შორეულ დღეს, როდესაც ვაუშათის ღმერთი-ვაუშ დაუბრუნებდა მის კოწწია ამომცლებს, სინარულიასა და ცხოვრების სიმძლეს, უშრომოდ, სწავლის შეუქმნლად და უსისხლოდ. მისი თვალები აღმართული იყო ვარსკვლავებისაკენაც და მას არ ავიწყებოდა, რომ „არა მარტო პურითა სცხონდების კაცი“, ცხადად იგრძნობოდა, რომ ვერ კიდევ ძველ გუბერნიამში გონებრივი კულტურა მაღალ საფეხურზე იდგა და ავტორიტების სულიერი გაქანება ნიყერ ნიდავს ჰპოულობდა.

(გაბრძობვა იმემა)
მეხვერ გოგუაამ

კალიან მენატრები, ჩემო კამიკო


ჩემო გიორგი რამდენიმე დღეში ერთი წელი ხდება, რაც აღარ მყავხარ.

2015 წლის 22 თებერვალს შეწყდა შენი სიცოცხლე, ბოლო წუთამდე არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ რამე მოვივიდოდა.

ეს წელი ჩემთვის ძალიან მძიმე, ძალიან ტკივილიან მოგონებებს უკავშირდება, ამ წლის მისის თვეში ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჩვენი მადონას და პატარა მათეს სიცოცხლეც. ერთმანეთს მიება ჩემთვის არასასიამოვნო რამდენიმე

მოვლენა. ამდენმა ტკივილმა დამალა. სულ ცუდზე ვფიქრობ. უიმედო, მარტოსული, უსუსური გავხდი.

შენ რომ გვერდით მყავდი ყველა ცხოვრებისეული სირთულეს ადვილად ვიტანდი. შენი არსებობა არ მამლევა ცუდზე ფიქრის საშუალებას. შენი სახით ხომ გვერდით მყავდა ერთგული ადამიანი, რომელსაც ვენდობოდი, სჯეროდა, ზრუნავდა, მპატიობდა. თავისი პირადი ცხოვრებით კარგ მაგალითს მძღვედა. არასდროს მატყუებდა და ყოველთვის ცდილობდა კარგი კუთხით შემეხედა



ყველაფრისთვის და ყველასთვის. შენ ხომ ყველა ადამიანში კარგს ხედავდი და მეც ისე მაწოდებდი მეორე ადამიანის დადებით თვისებებს, შეხედულებებს მაშინვე ვიცვლიდი.

შენს პიროვნულ თვისებებზე ბევრი შემიძლია ვილაპარაკო. ყოველდღიური ცხოვრებისეული დეტალებიდან დაწყებული მნიშვნელოვანი საქმეებით დამთავრებული.

რა ძალა იყო შენში ასეთი? შენი წყალობით ვიყავი ძლიერი, მიზანდასახული, ამაყი, ოპტიმისტი.

ჩემთვის მარად უკვდავი ხარ

ჩემო ძამიკო, ჩემო გიორგი, შენ სულ ჩემთან ხარ. ჩემს გულში აგრძელებ სიცოცხლეს. შენთან გატარებულ დღეებს, წლებს ვიხსენებ. შენს სურათებს ვეფერები, შენს დაწერილ წიგნებს ვკითხულობ, ღმერთმა იცის მერამდენად. მათში ხომ შენი სულია, შენი აზრები. შენს საფლავს ვეფერები- მიწას, რომელმაც საბუდამოდ მიიბარა შენი სხეული.

ძალიან მენატრები ჩემო ძამიკო, ჩემო გიორგი.

შენი დაიკო
მანანა კმეჩაყმაძე.

ბიბინა ქარჩავა



ჩემო ბიბინა! ცოტაც და ორმოცი დღე გახდება, შენი უეცარი გარდაცვალებიდან. მოწმედლო ცაზე მესხის გავარდნას აღარებენ ღირსეული

ადამიანის ამ ქვენიდან მოულოდნელად წასვლას. ეს სიტყვები რომ გაემიერო, ძალიან მსუბუქი ნათქვამი გამოძევა, რადგან გაცილებით მწარე და მწუხრის მომცველია შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. არ ვიცი ამას რა დავარქვა...

არ მინდა დავიჯერო, რომ აღარ ხარ, შენებურად, ხალისიანად ვეღარ შემოალებ სამსახურის კარებს, ტაქტიანად, კეთილდამილიანი სახით ვეღარ მოვესალმები, შენი სასწაული ოუმორით ვეღარ ჩავგავიქრებ, გულდასასანძლობით ვეღარ გავგაკვირვებ და იშვიათი სტუმრობით ვეღარ აგვაფორიანებ.

ისე უნდა იცხოვრო, წუთისოფელზე სამღურავი არ დავცდესო, მაგრამ როგორ

არ უნდა დამცდეს. როცა ვხედავ, რომ შენისთან ერთგული, ალალი, გამრვე, მეგობართა, ახლობელთა, ნაცნობთა თუ უცნობთა ჭირისა და ღხინის გამზარებელი ადამიანები ბევრი არ ჩნდება და თუ ჩნდება, რატომღაც ნაადრევად მდიან სამარადეაქობი.

შენ ის იშვიათი კაცი იყავი, ხარ და იქნები, ვისაც ნამუსის ქული გეხურა, გახურავს და გეხურება.

მადლობა ყველაფრისთვის! მადლობა იმისთვის, რაც ჩვენი მეგობრობისთვის გავიღია!

მადლობა უფალს, რომ შენ მყავდი და მეყოლები მეგობრად!

თამაზ კილაამ

თამაზ დონაძე



ჩვენო თამაზ, შენ მხოლოდ ბიბაშვილი არ იყავი ჩემი, თითქმის ტოლები, ერთ ოჯახში გაზრდილი ძმებევით ვიყავით. შენთან ერთად გატარებული რამდენი კეთილმოსაგონარი მახსოვს. ჩვენი ჭირი და ღხინი თანაზიარი იყო. ერთმანეთის სიყვარულით და გულთა განდობით

ვცხოვრობდით. ომში დაღუპულ მამით ობოლმა, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სავალდებულო სამსახურიც მოიხადე. ჯარიდან დაბრუნებული მალე დაოჯახდი. მეუღლე ცისანასთან ერთად შექმენი კარგი ოჯახი. ხარობდი შეილებითა და შეილიშვილებით, მაგრამ უეცარმა სიკვდილმა არ დაგაცალა ამქვეყნად ყოფნა. წახვედი და დაგვიტოვე სევდა და დარდი, დიდი მონატრება. თხუთმეტი მკვიდრი ბიბაშვილიდან ახლა ოთხილა დავრჩით. ადრე თუ გვიან, დადგება ჯამი, ყველანი ერთად მოვიყრით თავს. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, სანამ ვართ, სიყვარულით მოვიგონოთ.

ნოდარ დონაამ



ამირან ვაშალიშიძე, ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს **ნანა სურგულაძე-ლაშონიას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ოზურგეთელი მძღვრების ტრიუმფი



5-7 თებერვალს ქ. თბილისში მძღვრების სასახლემ ზამთრის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა დიდებში, რომელშიც ა.ა.)ი.პ. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი 10 სპორტსმენის შემადგენლობით I ლოგოში გამოდიოდა. გუნდმა საერთო ჯამში 4 ოქრო, 3

ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში კი 204 ქულით IV ადგილს დასჯერდა. **საქართველოს ჩემპიონის ტიტულუმში მონაწილე:**
კარტავეცი ნიკა, I საპრიზო ადგილი 400 მ 49,36; 200 მ 22.43;
ჭიხვარია გოგა, უროს ტყორცნა I საპრიზო ადგილი 61 მ 07სმ (7კგ);

შათირიშვილი სოფო, ბირთვის კვრა I საპრიზო ადგილი 11 მ 88სმ (4კგ);
გოგოლაშვილი გიორგი, II საპრიზო ადგილი ბაღროს ტყორცნა, 43მ 70სმ (2კგ);

პაკელიანი ნანი, II საპრიზო ადგილი ბაღროს ტყორცნა 43მ 70სმ (1კგ);
რუსიეშვილი ზურაბ, II საპრიზო ადგილი შუბის ტყორცნა 41მ 79 სმ (800გ);

4X200 ამნათბენი III საპრიზო ადგილი: **კარტავეცი ნიკა**, **თავართქილაძე ამირან**, **გოგიტიძე ბადრი**, **კაკაურიძე ზურაბ**.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო-საწვრთნო შეკრებას **კარტავეცი ნიკა** და **გოგა ჭიხვარია** საქართველოს ნაკრებ გუნდთან ერთად პორტუგალიაში გაივლიან. ნაკრები გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა მწვრთნელმა მარინა კოტრიკაძემ.

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ვთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

რ

„ზამთრის ვერნისაჟი“ მესამე გამოფენა-კონკურსი



9 თებერვალს ქალაქ ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების საოუბილეო მეზუთე გამოფენა-კონკურსი „ზამთრის ვერნისაჟი“, რომელშიც მონაწილეობდნენ გურიის რეგიონის სამხატვრო სკოლების, ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო 250 ბავშვის 500-ზე მეტი ნამუშევარი. სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა 13 გამარჯვებული ბავშვი სხვადასხვა ნომინაციებში, გადასცა მათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

ნომინაციები რეგიონის სამხატვრო სკოლებისთვის:

საუკეთესო ფერწერა - ქრისტინე მუჯირი (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო ნამუშევარი - დავით მორჩილაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო კომპოზიცია - ანო ტაბატაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო თემა - გვანცა გოცაძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო იდეა - თამუნა დარჩია (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა).

ნომინაციები საჯარო სკოლებისთვის:

საუკეთესო დეკორაცია - ნინო გობრონიძე (№2 საჯარო სკოლა);

საუკეთესო პლასტიკა - ლუკა რუსიეშვილი (№4 საჯარო სკოლა);

საუკეთესო ფერწერა - ია ანდლულაძე (№3 საჯარო სკოლა);

საუკეთესო ხელნაკეთობა - II კლასის მოსწავლეები (№3 საჯარო სკოლა);

ნიჭიერი (ნორჩი შემოქმედი) - ლევან დარჩია (№4 საჯარო სკოლა).

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის რჩეული - ნია გუგუბიძე, ანდრია თავართქილაძე.

ქალაქ ოზურგეთის მერაბ ბეგლარ სიორიძემ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა: გიორგი კონტრიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა), ანანო ვადაჭკორია (№1 საჯარო სკოლა), ლიკა ღლონტი (№3 საჯარო სკოლა).

ოზურგეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა: ერეკლე ჭკუასელი (სოფ. შრომის საჯარო სკოლა); ნატა ვაშაყვაძე (სოფ. ლიხაურის საჯარო სკოლა); ლაშა ტოტორიავა (სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლა); ნიკა ლესელიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა).

ჩვენი ცენტრის სახელით, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სპონსორებს, რომლებიც უკვე მეორე წელია მხარში უდგანან პროექტს „ზამთრის ვერნისაჟი“ და მომავალი თაობის წახალისების მიზნით საჩუქრებით აჯილდოვებენ მათ რჩეულ მონაწილეებს.

გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის რჩეული - საბა ეგვინიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის რჩეული - მარიამ ბზეკალავა (ლანჩხუთის სამხატვრო

სკოლა); ლიზი ეზიეშვილი (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა) ბარბარე ჩხარტიშვილი (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

„მოდერნი-2009“ - ანანო ვადაჭკორია (№1 საჯარო სკოლა);

ავერსი გეო ფარმი - თემო კობლატაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი - დავით მორჩილაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ფირმა „ფაბერილი“ - ეკატერინე ზომერიკი (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა), ლიკა ბებურიშვილი (№1 საჯარო სკოლა);

აფთიაქი „ისიდორე“ - ლიზი ეზიეშვილი (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);

შპს „მთისპირი-2010“ - ალექო ჩანტლაძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);


სააქციო საზოგადოება „იმედი“ - ნინო ქობულაძე (№1 საჯარო სკოლა);

ოზურგეთის წისქვილკომბინატი „გულისტანი“ - ლადო ქურთუბაძე (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი - ლიზი ღუმბაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

საბანკელო დარბაზი „ელეგანტი“ - ლიკა ღლონტი (№3 საჯარო სკოლა).

მადლობას ვუხდით ასევე მონაწილე სკოლებსა და პედაგოგებს აქტიური ურთიერთთანამშრომლობისათვის. ვულოცავთ ყველა მონ-



აწილე ბავშვს და მიგვანჩია, რომ გამოფენა-კონკურსებში მთავარი მონაწილეობაა და არა მხოლოდ გამარჯვებულებს. ნომინაცია გალერეაში გასტანს თებერვლის თვის ბოლომდე.

ლია ურუშაძე, ხელოვნებათმცოდნე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +9+19 15 თებერვალი ორშაბათი	მზე, +6+18 16 თებერვალი სამშაბათი	მზე, +8+20 17 თებერვალი ოთხშაბათი	წვიმა, +8+20 18 თებერვალი ხუთშაბათი	მზე, ღრუბლი +5+11 19 თებერვალი პარასკევი	წვიმა, +3+9 20 თებერვალი შაბათი	წვიმა, +6+9 21 თებერვალი კვირა
-------------------------------------	--------------------------------------	--------------------------------------	--	---	------------------------------------	-----------------------------------